პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის შესაბამისად განხორციელდა ახალი მარადმწვანე მცენარეების, ბუჩქების, ერთწლიანი ყვავილების და სხვა ნარგავების დარგვა, ახალი გამწვანების ზონების შექმნა. მავნებლების მოსპობის მიზნით, შხამქიმიკატებით შეწამვლა, სისტემატიური მორწყვა და ვეგეტაციამდე სასუქის შეტანა. დაბალი ნარგავების და ბუჩქების გაკრეჭვა-ფორმირება, ზრდასრული ხეების შესხეპვა-გადაბეღვა, გადაბერებული ზეხმელი ხეების მოჭრა, სკვერებისა და ქალაქის ქუჩების მწვანე საფარის გათიბვის სამუშაოები.</p> <p>კონკრეტულად, მოიჭრა 94 ძირი ხე, გადაიბელა - 52, შეისხეპა - 407, დამუშავდა 19 ძირი წაქცეული და დაზიანებული ხე, გამაგრდა - 35, გაიკრიჭა 944 გრძ.მ ბუჩქი, ფორმირებულ იქნა 406 ძირი ბუჩქი, შეიჭრა - 81, შეთეთრებულ იქნა 4073 ძირი ხე. საჭიროებისამებრ ნარგავების ირგვლივ ხდებოდა ნიადაგის შემობარვა და სკვერებში სავალი გზების ფილების ნიჩბებით გაფხეკა-გაწმენდა. ქალაქის მასშტაბით მწვანე საფარის გათიბვის სამუშაოები განხორციელდა რამდენჯერმე.</p>		
მიღწეული შედეგი	ქალაქის გამწვანება, გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო.		

პროგრამის დასახელება	კოდი	უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია	დაფინანსება ათას ლარში
	03 05		89.4
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“.		
პროგრამის აღწერა	<p>ქალაქის ტერიტორიაზე მაწანწალა ძაღლების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს. მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, განხორციელდა უმეთვალყურეოდ დარჩენილი 381 ერთეული ძაღლის დროებით იზოლაცია, ინდ.მეწარმე ლერი ჩხარტიშვილის მიერ, მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ჩატარდა ძაღლების იდენტიფიკაცია საჭდით, დეჰელმენტიზაცია, ვაქცინაცია, სტერილიზაცია/კასტრაცია და დაბრუნება კვლავ პირვანდელ ლოკაციაზე.</p> <p>ასევე მოხდა ქალაქის ცენტრალურ ადგილებში მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა, მისი ფოტოგრაფირება ადგილსამყოფელის და დამლის ნომრის გამოხატული ჩვენებით, ჯარიმის ოქმის ადგილზე გაფორმება და შესაბამის სამსახურთან დამლის ნომრის მიხედვით იდენტიფიცირებულ მეპატრონეზე სახლში გაგზავნა ფოსტის საშუალებით. 2020 წლის განმავლობაში გამოვლინდა 6 ფაქტი. ცხოველთა სპეციალური სადგომის არქონის გამო, განყოფილება ძირითადად მუშაობდა აკრძალული ტერიტორიებიდან პირუტყვის განდევნაზე.</p>		
მიღწეული შედეგი	მაწანწალა ძაღლების მხრიდან შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. ქალაქის ქუჩებში უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების ხეტიალის შემთხვევების აღმოფხვრა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მდინარე კაპარჭის გაწმენდა, პალიასტომის ტბის ჰიდროდინამიური რეჟიმის აღდგენა	დაფინანსება ათას ლარში
	03 06		289.8

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახური.
პროგრამის აღწერა	მდინარე კაპარჭა წარმოადგენს პალიასტომის ტბის ჰიდროდინამიური რეჟიმის მთავარ წყაროს, რაც შესაძლებლობას ქმნის ეკოლოგიური თვალსაზრისით გამწმენდ საშუალებას. აღნიშნული მდინარის გაწმენდითი სამუშაოების განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს პალიასტომის ტბის შევსებასა და ჰიდროდინამიური რეჟიმის აღდგენას. პალიასტომის ტბა წარმოადგენს მტკნარი წყლის მთავარ წყალსაცავს, როგორც ქალაქ ფოთის, ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის. მდინარე კაპარჭას გაწმენდითი სამუშაოები ხელშემწყობ პირობებს შექმნის ეკოსისტემის აღდგენით პროცესში და პალიასტომის ტბისათვის წარმოადგენს აუცილებელ და ერთადერთ შევსების არტერიას.
მიღწეული შედეგი	მდინარე კაპარჭას გაწმენდილი კალაპოტი; პალიასტომის ტბის ჰიდროდინამიური რეჟიმის აღდგენა.

### 15. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად, ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდა საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

მიმდინარე წელს ასევე განხორციელდა საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
04 00	განათლება	3857.1	3158.8	81.9
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2509.6	2411.7	96.1
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია	674.5	216.5	32.1
04 03	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები	655.0	520.0	79.4
04 04	საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	18.0	10.6	58.9

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		2411.7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "თვითმმართველ ქალაქ ფოთის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანება".		
პროგრამის აღწერა	სკოლამდელი აღზრდის ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს. აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება.		
	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 15		

	<p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1900-ზე მეტი ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 380 თანამშრომელი, მათ შორის 159 აღმზრდელი.</p> <p>სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების პროგრამის მიზანია: ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა, დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.</p> <p>ა(ა)იპ "თვითმმართველ ქალაქ ფოთის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში" ბავშვთა კვებისათვის 2020 წელს დადგენილი იყო ერთ ბავშვზე 2 ლარი დღეში, რომელიც განისაზღვრება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორის მიერ დამტკიცებული მენიუთი.</p> <p>პანდემიის I ეტაპზე, მარტის თვეში, 1904 ბავშვზე გაიცა კვების პროდუქტები, თანხით 55397 ლარი; II ეტაპზე, აპრილის თვეში, 1934 ბავშვზე გაიცა კვების პროდუქტები, თანხით 59422 ლარი; III ეტაპზე, ნოემბრ-დეკემბრის თვეში, 1802 ბავშვზე გაიცა კვების პროდუქტები, თანხით 115876 ლარი.</p>
მიღწეული შედეგი	<p>ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები უზრუნველყოფილი იქნა შესაბამისი პირობებით. დაცული იქნა სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები;</p> <p>მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში ისარგებლბლა მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 1900-ზე მეტმა შესაბამისი ასაკის ბავშვმა.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	04 02		216.5
პროგრამის აღწერა		<p>პროგრამა მოიცავდა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მიმდინარე სარემონტო, სახურავების კაპ. რემონტის, ელ. სამონტაჟო, სველი წერტილებისა და გათბობის სისტემების მოწყობის სამუშაოებს.</p> <p>აღნიშნული სამუშაოები ჩატარდა N1, N2, N3, N6, N7, N9, N10, N11, N12, N13, N14, N15 და N17 სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში.</p>	
მიღწეული შედეგი		<p>აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა;</p> <p>საბავშვო ბაგა-ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი.</p>	

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები	დაფინანსება ათას ლარში
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	04 03		520.0
პროგრამის აღწერა		<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საჯარო სკოლებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. კერძოდ, მოწესრიგდა სველი წერტილები, ჩატარდა ელ. სამონტაჟო, შიდა სარემონტო, გადახურვითი და გათბობის სამუშაოები, ფანჯრებზე მოეწყო თბოიზოლაცია, კეთილმოეწყო ეზო და სხვა. აღნიშნული სამუშაოები ჩატარდა N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N11, N12, N15 საჯარო სკოლებში.</p>	
მიღწეული შედეგი		<p>მოსწავლე-ახალგაზრდობის სასწავლო პირობების გაუმჯობესება.</p>	

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	04 04		10.6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახური.		
პროგრამის აღწერა	საჯარო სკოლების მოსწავლეთა მომსახურება სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფს მოსწავლეთა დროულ გადაადგილებას საცხოვრებელი ადგილიდან სკოლამდე. აღნიშნული მომსახურება ხელს უწყობს მოსწავლეთა ოჯახების სოციალური პირობების გაუმჯობესებას.		
მიღწეული შედეგი	მოსწავლეთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა; გაუმჯობესებული სასწავლო პროცესი.		

## 16. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად, აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

2020 წელს ასევე, დაგეგმილი იყო „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელშეწყობა, მინი სპორტული მოედნების კაპ. შეკეთება, ნინო ჟვანიას ქუჩაზე სპორტული დარბაზის კაპ. შეკეთება, სპორტული კლუბის ბაზის კაპ. რემონტი, ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის შენობის რეაბილიტაცია.

პროგრამული კოდი	დასახელება	ათას ლარში		
		2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
<b>05 00</b>	<b>კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>4243.0</b>	<b>3731.2</b>	<b>87.9</b>
<b>05 01</b>	<b>სპორტის სფეროს განვითარება</b>	<b>2482.9</b>	<b>2081.5</b>	<b>83.8</b>
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	207.1	199.8	96.5
05 01 01 01	რაგბის სასპორტო სკოლის ხელშეწყობა	125.1	122.3	97.8
05 01 01 02	ხელბურთის კლუბის "ოქროს ვერძი" ხელშეწყობა	82.0	77.5	94.5
05 01 02	ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	10.8	10.7	99.1
05 01 03	სპორტისა და ტურიზმის ცენტრის ხელშეწყობა	1251.0	1250.3	99.9
05 01 05	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	959.0	565.7	59.0
05 01 06	„საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელშეწყობა	55.0	55.0	100.0
<b>05 02</b>	<b>კულტურის სფეროს განვითარება</b>	<b>1515.1</b>	<b>1416.0</b>	<b>93.5</b>
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1136.2	1110.0	97.7
05 02 01 01	სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის ხელშეწყობა	171.7	171.0	99.6
05 02 01 02	არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის ხელშეწყობა	210.0	207.0	98.6
05 02 01 03	მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრის ხელშეწყობა	175.0	175.0	100.0
05 02 01 04	ფოლკლორის ცენტრის ხელშეწყობა	306.5	306.3	99.9
05 02 01 05	საგამოფენო დარბაზის ხელშეწყობა	63.0	61.9	98.3
05 02 01 06	საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელშეწყობა	185.0	163.8	88.5



პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
05 02 01 07	რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალის მხარდაჭერა	25.0	25.0	100.0
05 02 02	კულტურული ღონისძიებები	43.8	38.3	87.4
05 02 03	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	335.1	267.7	79.9
<b>05 03</b>	<b>რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა</b>	<b>245.0</b>	<b>233.7</b>	<b>95.4</b>

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სფეროს განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	05 01		2081.5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; ა(ა)იპ "სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - რაგბის სასპორტო სკოლა"; ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ხელბურთის კლუბი ოქროს ვერძი"; ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრი"; ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახური; ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი.		
პროგრამის აღწერა	მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სპორტული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონოდათ შესაძლებლობა სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნისა და ნიჭიერ სპორტსმენთა წახალისებისათვის. 2020 წელს, მოხდა „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდა მინი სპორტული მოედნების და ნინო ჟვანიას ქუჩაზე სპორტული დარბაზის კაპ. შეკეთების სამუშაოები.		
მიღწეული შედეგი	მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სხვადასხვა სპორტის სახეობების მიმართულებით. მოწესრიგებული სპორტული ინფრასტრუქტურა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რაგბის სასპორტო სკოლის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		122.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - რაგბის სასპორტო სკოლა".		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის მიზანია რაგბით დაინტერესებული მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაგბის განვითარება, მომავალი თაობის ჩაბმა რაგბის სექციაში, მოზარდთა ფიზიკური და გონებრივი განვითარება და ჯანსაღი ცხოვრების წესის უნარ-ჩვევების გამომუშავება. რაგბის სკოლის 7 მწვრთნელი მოემსახურა პირველი ლიგის „ა“ ლიგის და 2004-2005, 2006-2007, 2008-2009, 2010-2011 წლებში დაბადებულთა საფესტივალო ასაკის 215 სპორტსმენს, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებში და რაგბის ფესტივალზე. „ბ“ ლიგის გუნდებს შორის ჩატარდა (საქართველოს ჩემპიონატი) 3 თამაში, ხოლო 25 თამაში პანდემიის გამო გაუქმდა. საფესტივალო ასაკის გუნდებს შორის 32 თამაში პანდემიის გამო გაუქმდა.		
მიღწეული შედეგი	მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობა სპორტის ამ სახეობაში, ჯანსაღი თაობის აღზრდა, ფოთელი სპორტსმენების მიღწევების კიდევ უფრო გაუმჯობესება, წარმატებული სპორტსმენების ნაკრებისათვის შერჩევა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხელბურთის კლუბის „ოქროს ვერძი“ ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 02		77.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ხელბურთის კლუბი ოქროს ვერძი".		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ხელბურთის სექცია უზრუნველყოფს სწავლებას ხელბურთის მიმართულებით, სპორტულ ობიექტზე 6 მწვრთნელის მეშვეობით, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებს, სულ 105 სპორტსმენს. კლუბის სპორტსმენები მონაწილეობას იღებენ თითქმის ყველა ასაკობრივ კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონატში. კლუბი ახორციელებს ღონისძიებას ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებით. საქართველოს ნაკრებისათვის სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში შერჩეულ იქნა 7 სპორტსმენი.</p> <p>2020 წელს ჩასატარებელი საქართველოს ქალ ხელბურთელთა ჩემპიონატებიდან 10 ჩემპიონატი პანდემიის გამო გადაიდო.</p>		
მიღწეული შედეგი	მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობა სპორტის ამ სახეობაში, ჯანსაღი თაობის აღზრდა, ფოთელი სპორტსმენების მიღწევების კიდევ უფრო გაუმჯობესება, წარმატებული სპორტსმენების ნაკრებისათვის შერჩევა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		10.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი რიგი ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ჩატარება, პანდემიის გამო ვერ განხორციელდა. 2020 წელს დაფინანსდა მხოლოდ შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ რეგიონალური სასკოლო ოლიმპიადისთვის მხიარულ სტარტებში, მინი ფეხბურთში, მინი კალათბურთში (3X3) და ხელბურთში მონაწილეების ფორმებით უზრუნველყოფა - 2.0 ათ. ლარით;</li> <li>➤ წლის საუკეთესო სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოება - 2.0 ათ. ლარით;</li> <li>➤ წლის განმავლობაში წარმატებული სპორტსმენებისათვის პრემიალური ხარჯები - 6.7 ათ. ლარით.</li> </ul>		
მიღწეული შედეგი	სპორტის სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წარმოჩენა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტისა და ტურიზმის ცენტრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		1250.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრი“.		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ძირითადი არსია ქალაქში სპორტის შემდგომი განვითარება, ქალაქის ნაკრები გუნდების მზადება და მონაწილეობა რესპუბლიკურ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, საერთაშორისო ტურნირები), სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება, სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია და სპორტის პროპაგანდისათვის ხელშეწყობა, „სპორტი ყველასათვის“ პროექტების რეალიზაცია, ქალაქის ნაკრები გუნდების წევრებისათვის მაღალი დონის</p>		

	<p>სასწავლო და საწვრთნელი პროგრამების შექმნა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება და ანტიდოპინგური ღონისძიებების განხორციელება, სპორტული ობიექტებით, სპორტული ფორმითა და ინვენტარით უზრუნველყოფა, სპორტსმენთა ტრანსპორტით მომსახურება, სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება, ადგილობრივი ტურნირების და პირველობების ორგანიზება და ჯანსაღი მომავალი თაობის ჩამოყალიბება.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში სპორტისა და ტურიზმის ცენტრი ქმნის ქალაქის ტურისტული შესაძლებლობების საინფორმაციო ბანკს, მუდმივად ახდენს სრულყოფასა და განახლებას. თანამშრომლობს სხვადასხვა ტურისტულ ცენტრებთან, რათა ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით მოხდეს საქართველოში ტურიზმის განვითარება და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა საერთაშორისო დონეზე.</p>
მიღწეული შედეგი	<p>სპორტის სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წარმოჩენა.</p> <p>სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩატარებულ ჩემპიონატებში მონაწილე სპორტსმენთა მიღწევების კიდევ უფრო გაუმჯობესება.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 05		565.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქალაქში არსებობს რამოდენიმე მინი სპორტული მოედანი, რომელსაც საკმაოდ აქტიურად იყენებენ ახალგაზრდები თავისუფალი დროის ნაყოფიერად გასატარებლად. შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში 2020 წელს დაფინანსდა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მინი სპორტული მოედნების კაპ. შეკეთება (მათ შორის პროექტირება) - 398.2 ათ. ლარით;</li> <li>კაპიტალურად შეკეთდა გურიის N193, ჭანტურიას N7, თავდადებულის N7, ჭავჭავაძის N152, მზარეულას N42, ბარათაშვილის N2, ბერდიანსკის N30, 9 აპრილის N28, N31, აღმაშენებლის N8, ჭავჭავაძის N138-ში მდებარე და N2 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული მინი სპორტული მოედნები.</li> <li>➤ ნინო ჟვანიას ქუჩაზე მდებარე სპორტული დარბაზის კაპ. შეკეთება - 167.5 ათ. ლარით. აღნიშნული სამუშაო გაგრძელდება 2021 წელსაც.</li> </ul>		
მიღწეული შედეგი	ახალგაზრდებისთვის შექმნილი კომფორტული და ჯანსაღი გარემო. სპორტით დაინტერესებული მომავალი თაობის რაოდენობის ზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913-ის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 06		55.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი.		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქალაქში არსებობს ერთი პროფესიონალური კლუბი ფეხბურთში შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“. ფეხბურთი ერთ-ერთი სპორტის წამყვანი სახეობაა, რომლის განვითარება ხელს უწყობს ახალგაზრდა ფეხბურთელების კვალიფიკაციის ამაღლებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას.</p>		
მიღწეული შედეგი	სპორტსმენებისათვის შექმნილი კომფორტული და ჯანსაღი გარემო.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02		1416.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი"; ა(ა)იპ "არჩილ ხორავას სახ. სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელი"; ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრი"; ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრი"; ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზი"; ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანება"; სსიპ "ქ. ფოთის ვალერიან გუნიათაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი"; ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახური.		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა სახელოვნებო და საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა. ასევე, განხორციელდა ვალერიან გუნიათაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის შენობის რეაბილიტაცია.		
მიღწეული შედეგი	კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაციის ზრდა; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		171.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი".		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში, სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი უზრუნველყოფს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მინაქრის, ხალხური რეწვის დარგების (კერამიკა, ხის მხატვრული დამუშავება, მხატვრული ქსოვა (ხალიჩა, ფარდაგი, გობელინი) აღდგენა-შენარჩუნებას, ტანსაცმლის მხატვრულ დამუშავებას (მოდელირება), ანიმაციის განვითარებას, სამხატვრო განათლების განვითარებასთან დაკავშირებით წინადადებების მომზადებას, მოსწავლეთათვის შესაბამისი სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდებას, სამხატვრო და ნატიფი ხელოვნების პროფესიების სწავლებას და წვლილის შეტანას ქვეყნის ისტორიულ-კულტურული ტრადიციების შენარჩუნებასა და აღორძინებაში, მოსწავლეთა კონკურსებში, ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენასა და წარმოჩენას.		
მიღწეული შედეგი	კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება; ხელოვნების სასურველი მიმართულებებით სწავლება, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა და ხელშეწყობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		207.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელი".		

ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში სასწავლებლის მიზანია აზიაროს მოსწავლეები ხელოვნების საფუძვლებს, გააცნოს და შეაყვაროს მათ ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიოს ხელოვნების ნიმუშები. მოსწავლეთა კონკურსებში, ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით, გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები; იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე, გამოუმუშაოს მოსწავლეებს სამყაროს მხატვრული აღქმის საკუთარი ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევები, პრაქტიკული მხატვრული აქტივობის განვითარებით.</p> <p>სასწავლებელში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, ვოკალური, საესტრადო, საგუნდო-სადირიჟორო, ხალხური საკრავების, კლასიკური ბალეტის განყოფილებები, ქართული ხალხური და სამეჯლისო ცეკვებისა და გიტარის შემსწავლელი წრეები. სასწავლებელში ირიცხება საშუალოდ 400 მოზარდი. სახელოვნებო სასწავლებელი ამზადებს კადრებს ხელოვნების უმაღლეს სასწავლებლებში (კონსერვატორიაში) სწავლის გასაგრძელებლად.</p>
მოსალოდნელი შედეგი	განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა და ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	05 02 01 03		175.0
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრი".</p> <p>აღნიშნული ქვეპროგრამა ემსახურება ქალაქში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განვითარებას, მოსწავლეთა ტექნიკური, საბუნებისმეტყველო, ეკოლოგიური, მხატვრული და ესთეტიკური კუთხით განვითარებას, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას და სწავლებას, ნიჭიერ შემოქმედთა, შემსრულებელთა გამოვლენასა და მათი შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობას, მხატვრულ-შემოქმედებითი კოლექტივების, ანსამბლების, ჯგუფების, სტუდიების, მოყვარულთა თეატრების, საერთო-შემეცნებითი ჯგუფების ჩამოყალიბებას, მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, საგნობრივი წრეების შექმნას, სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას. ქვეპროგრამა ემსახურება 550 მოსწავლეს.</p>		
მიღწეული შედეგი	<p>კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება; ხელოვნების სასურველი მიმართულებებით სწავლება, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა და ხელშეწყობა. მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართვა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფოლკლორის ცენტრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	05 02 01 04		306.3
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრი".</p> <p>ჩვენი ქვეყნის სულიერი საგანძურის - ჩვენი ტრადიციული კულტურის შენარჩუნება, მოვლა-პატრონობა, მეცნიერული შესწავლა, მხატვრულ-შემოქმედებითი გააზრება-ინტერპრეტაცია, ახალგაზრდა თაობებისათვის გაცნობა-გადაცემა ფოლკლორის ცენტრის უმთავრესი მისიაა.</p> <p>ფოლკლორის ცენტრის მრავალფეროვანი შემოქმედებითი საქმიანობა მოიცავს:</p>		

	<p>ქართული ხალხური მუსიკის, ზეპირსიტყვიერების, ქორეოგრაფიის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, თეატრალურ მიმართულებებს.</p> <p>ქვეპროგრამა ემსახურება სწორედ ამ მიმართულებების განვითარებას, ცენტრში არსებული კოლექტივების, საბავშვო წრეებისა და სტუდიების ფუნქციონირებას, ხელშეწყობას, განვითარებასა და პოპულარიზაციას. ასევე ნიჭიერ შემოქმედთა, შემსრულებელთა გამოვლენას და მათი შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობას. სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას. ფესტივალების მოწყობასა და სხვადასხვა რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო კუნკურს-ფესტივალებზე ცენტრში არსებული კოლექტივების წარმოჩენას.</p> <p>ქვეპროგრამა ემსახურება ცენტრში არსებულ კოლექტივებს, სხვადასხვა წრეებსა და სტუდიებში გაერთიანებულ 100 მოსწავლეს.</p>
მიღწეული შედეგი	ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა და ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგამოფენო დარბაზის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 05		61.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზი".		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ხელს უწყობს ქალაქში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განვითარებას, მოსახლეობის ესთეტიკურ აღზრდას. უზრუნველყოფს ადამიანის მრავალფეროვანი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, გამოფენების, გამოფენა-გაყიდვების, აუქციონების, კონკურსების, პერსონალური გამოფენების და შემოქმედებითი შეხვედრების ორგანიზებას და მოწყობას.		
მიღწეული შედეგი	ნიჭიერი შემოქმედი ადამიანების გამოვლენა, წარმოჩენა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 06		163.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანება".		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში საბიბლიოთეკო გაერთიანება უზრუნველყოფს ბიბლიოთეკო ფონდის ორგანიზებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, საკლუბო და სალონური მუშაობის გაზრდას, მონაცემთა ბაზის შექმნას; საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის, მონაცემთა ბაზის კომპიუტერული ქსელისა და ქსელური აპარატის ფუნქციონირების უზრუნველყოფას, მოქალაქეთა მომსახურებას საბიბლიოთეკო ფონდებით. ახალგაზრდებისათვის თავისუფალი სივრცეების შექმნას.		
მიღწეული შედეგი	ბიბლიოთეკების შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. გაზრდილი ბეჭდვითი და ელექტრონული ფონდი.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 07		25.0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი; სსიპ „ქალაქ ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი“.
ქვეპროგრამის აღწერა	ტრადიციად ჩამოყალიბდა ქალაქ ფოთში რეგიონალური თეატრების ფოთის საერთაშორისო ფესტივალის ჩატარება. ზემოაღნიშნული ფესტივალის ჩატარება მნიშვნელოვანია ქალაქ ფოთის კულტურული და ტურიზმის განვითარების კუთხით, რადგან ფესტივალში მონაწილეობენ როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოეთიდან მოწვეული თეატრალური კოლექტივები.
მიღწეული შედეგი	მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში, სხვადასხვა ქვეყნების კულტურის გაცნობა, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		38.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი რიგი კულტურული ღონისძიებები პანდემიის გამო ვერ ჩატარდა. 2020 წელს დაფინანსდა მხოლოდ შემდეგი ღონისძიებები: <ul style="list-style-type: none"> <li>➤ საპატიო მოქალაქეთა დაჯილდოება -1.9 ათ. ლარი;</li> <li>➤ შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება (2019 წლის კრედიტორული დავალიანება) - 28.9 ათ. ლარი;</li> <li>➤ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მოღვაწე კულტურის, ხელოვნების განათლების მუშაკების, დამსახურებული საზოგადო მოღვაწეების, სხვადასხვა ღონისძიებებში გამარჯვებული ახალგაზრდების და სკოლის წარჩინებულ მოსწავლეთა მატერიალური წახალისება (ჯილდო) - 7.5 ათ. ლარი.</li> </ul>	
მიღწეული შედეგი		დამსახურებული საზოგადო მოღვაწეების, საუკეთესო კურსდამთავრებულების, კულტურისა და განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		267.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახური.	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის რეაბილიტაცია (მათ შორის პროექტირების შესყიდვა-ექსპერტიზით).	
მიღწეული შედეგი		თეატრის რეაბილიტაციის დასრულების შემდგომ მოწესრიგდება ქალაქის იერსახე და გააქტიურდება ქალაქის კულტურული ცხოვრება.	

პროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 03		233.7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი; ფოთისა და ხობის ეპარქია.	

პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის სახელობის ფოთის საკათედრო ტაძრის მინათების და გარე განათების ხარჯები, ასევე ღობის სამღებრო სამუშაოები;</li> <li>➤ წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალის სახელობის სამრევლო ეკლესიის საძირკვლის მოპირკეთება რიყის ქვით და ფასადის მხრიდან კოლონებს შორის კედლის ამოშენების ხარჯები;</li> <li>➤ ქალაქ ფოთის ქრისტეშობის სახელობის მშენებარე ტაძრის კელიის გადახურვის სამუშაოები.</li> </ul>
მიღწეული შედეგი	ქალაქის იერსახის გაუმჯობესება, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, მოსახლეობის სულიერების ამაღლება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა.

### 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. 2020 წელს განხორციელდა შეჭირვებული მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	ათას ლარში შესრულება %-ში
<b>06 00</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>2740.5</b>	<b>2379.1</b>	<b>86.8</b>
<b>06 01</b>	<b>საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება</b>	<b>203.2</b>	<b>202.5</b>	<b>99.7</b>
<b>06 02</b>	<b>ჯანდაცვის სხვა პროგრამები</b>	<b>618.9</b>	<b>478.1</b>	<b>77.2</b>
06 02 01	მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობა	348.9	264.9	75.9
06 02 02	მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა	150.0	132.9	88.6
06 02 03	ონკოლოგიურ დაავადებათა გამოკვლევა და პრევენცია	15.0		
06 02 04	სასმელი, სარეკრიაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევა	40.0	33.9	84.8
06 02 05	შშმ ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება	50.0	41.7	83.4
06 02 06	ფენილკეტონურიით და ცელიაკით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფა	5.0	4.0	80.0
06 02 07	კოხლურული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება	3.0	0.7	23.3
06 02 08	დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევა	7.0		
<b>06 04</b>	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>985.8</b>	<b>870.9</b>	<b>88.3</b>
06 04 01	სარიტუალო მომსახურება	56.3	36.8	65.4
06 04 02	მარტოხელა მშობელთა დახმარება	66.0	60.8	92.1
06 04 03	ბავშვთა ცენტრის ხელშეწყობა	111.5	110.7	99.3
06 04 04	განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა და დიალიზის პროგრამაში მონაწილეთა ტრანსპორტირება	54.2	48.2	88.9
06 04 05	2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებისა და დაჭრილ მოქალაქეთა დახმარება	16.0	15.7	98.1
06 04 06	მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა, ამავე ომის შშმ პირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა დახმარება	14.5	7.8	53.8
06 04 07	სარეზერვო ფონდიდან გაწეული დახმარება	80.5	80.3	99.8
06 04 08	უსინათლოებისა და ყრუ-მუნჯთა მატერიალური დახმარება კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად	41.6	41.6	100.0



პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
06 04 09	უსინთლოებისათვის წნევის გამზომი ხმოვანი აპარატების შექმნა	1.1	0.5	45.5
06 04 10	შპმ ბავშვთა დღის ცენტრის დახმარება კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად	6.0	3.1	51.7
06 04 11	სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერა	10.0		
06 04 12	ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებები	2.0	0.2	10.0
06 04 14	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	28.0	17.2	61.4
06 04 15	საქალაქო ავტობუსების სუბსიდირება	80.0	80.0	100.0
06 04 16	მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება	245.5	207.3	84.4
06 04 17	ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარება	40.0	40.0	100.0
06 04 18	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარებები	52.6	40.7	77.4
06 04 24	ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პერიოდში მოსახლეობის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის პროგრამა	80.0	80.0	100.0
<b>06 07</b>	<b>სოციალური მომსახურების ცენტრის ხელშეწყობა</b>	<b>832.6</b>	<b>827.6</b>	<b>99.4</b>
<b>06 08</b>	<b>ფოთის სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდირება</b>	<b>100.0</b>		

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	დაფინანსება ათას ლარში
	06 01		202.5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი".		
პროგრამის აღწერა	<p>თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის:</p> <p>ა) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;</p> <p>ბ) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;</p> <p>გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა. მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი;</p> <p>დ) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის;</p> <p>ე) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას;</p> <p>ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა;</p> <p>ზ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მაღარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი), სისხლის გზით გადამდები დაავადებების პრევენციის ზედამხედველობა.</li> <li>2. იმუნიზაცია.</li> <li>3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა.</li> </ol>		

	4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.
მიღწეული შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანდაცვის სხვა პროგრამები	დაფინანსება ათას ლარში
	06 02		478.1
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.		
პროგრამის აღწერა	<p>აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა ჯანდაცვის შემდეგი პროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობის პროგრამა;</li> <li>➤ მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა;</li> <li>➤ სასმელი, სარეკრიაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევის პროგრამა;</li> <li>➤ შშმ ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსების პროგრამა;</li> <li>➤ ფენილკეტონურიით და ცელიაკით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა;</li> <li>➤ კოხლევარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარების პროგრამა.</li> </ul>		
მიღწეული შედეგი	ჯანდაცვის სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე ხელმისაწვდომობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		264.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების, მათ შორის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სერვისების ხელმისაწვდომობას, სხვადასხვა დაავადებების მკურნალობის ხარჯების, ძვირადღირებული ოპერაციების და ძვირადღირებული გამოკვლევების იმ კომპონენტის თანადაფინანსებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ან კერძო დაზღვევით.</p> <p>დაფინანსების ოდენობა:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მოქალაქეებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდა 70 000-ს, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის (მკვეთრად გამოხატული) სტატუსის მქონე მოქალაქეებს, მკურნალობის ღირებულება დაუფინანსდათ გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციით (წინასწარი კალკულაცია) წარმოდგენილი თანხის 100%-მდე, არაუმეტეს 1000 ლარისა.</li> <li>2. მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნდათ 70 000-ზე მეტი სარეიტინგო ქულა, ან არ იყვნენ დარეგისტრირებულნი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში, მკურნალობის ღირებულება დაუფინანსდათ გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციით წარმოდგენილი თანხის 50%-მდე, არაუმეტეს 1000 ლარისა.</li> </ol> <p>თუ გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯი არ აღემატებოდა 150 ლარს,</p>		

	დაფინანსება განხორციელდება 100%-ით. მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობის პროგრამით 2020 წელს ისარგებლა 539 ბენეფიციარმა.
მიღწეული შედეგი	ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		132.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის სიდუხჭირის და მსოფლიო ბაზარზე მედიკამენტებზე გაზრდილი ფასების გამო, სამკურნალო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ მატერიალური დახმარება გაუწია სხვადასხვა მწვავე თუ ქრონიკული დაავადებების მქონე ადგილობრივ მოსახლეობას, იმ სახის მედიკამენტების შესაძენად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით.</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების, მათ შორის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფას.</p> <p>ბენეფიციარებს, მედიკამენტის სახით, დახმარება გაეწიათ:</p> <p>ა) ერთჯერადად 70 ლარის ღირებულების მედიკამენტებზე;</p> <p>ბ) ავთვისებიანი სიმსივნითა და ლეიკოზით დაავადებულ პირებს 1000 ლარამდე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, წელიწადში ორჯერ.</p> <p>გ) ერთჯერადად განსაკუთრებული საჭიროების მქონე სოციალურად დაუცველ (100 000-მდე სარეიტინგო ქულა) ავადმყოფებს 150 ლარამდე.</p> <p>აღნიშნული ქვეპროგრამით 2020 წელს ისარგებლა 1417-მა მოქალაქემ.</p>		
მიღწეული შედეგი	ბენეფიციართათვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი, სარეკრიაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		33.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა	მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის უზრუნველყოფისათვის, ინფექციური დაავადებებისა და ეპიდემიოლოგიის თავიდან აცილების მიზნით, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სასმელი, სარეკრიაციო და ზღვის წყლის ხარისხის სისტემატიური ლაბორატორიული კვლევა.		
მიღწეული შედეგი	ინფექციური დაავადებების და ეპიდემიოლოგიის პრევენცია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შშმ ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05		41.7

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა	<p>აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე, 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, მათ შორის აუტიზმის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე პირთა ფსიქოსომატური რეაბილიტაციის დაფინანსებას.</p> <p>აღნიშნული ქვეპროგრამით დაფინანსდნენ:</p> <p>ა) აუტიზმის მქონე ბავშვები (ICD-10 განსაზღვრული კლასიფიკატორები F84.0, F84.1, F84.5, F84.9) წელიწადში ერთჯერ - არაუმეტეს 1500 ლარით.</p> <p>ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები წელიწადში ერთჯერ, არაუმეტეს 500 ლარით.</p> <p>აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლა 57-მა ბენეფიციარმა.</p>
მიღწეული შედეგი	შშმ ბავშვთა ინტეგრაცია საზოგადოებაში.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფენილკეტონურიით და ცელიაკით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 06		4.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე, 18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით და/ან ცელიაკით დაავადებულ პირთა დაფინანსებას ისეთი სახის კვებითი დანამატების შესაძენად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით. ბენეფიციარებს დახმარება გაეწიათ ერთჯერ 1000 ლარის ოდენობით.</p> <p>აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლა 4-მა ბენეფიციარმა.</p>		
მიღწეული შედეგი	ფენილკეტონურიით და ცელიაკით დაავადებულ პირთა გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა, მათი ოჯახების მატერიალური და მორალური თანადგომა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კოხლევარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 07		0.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს ძვირადღირებული კოხლევარული იმპლანტაციის დაფინანსებას სმენაჩაღუნგობის (სმენის დაქვეითების მძიმე ფორმა) დაძლევის მიზნით. თუმცა, იმპლანტი მუდმივად საჭიროებს ნორმალური ფუნქციონირების შენარჩუნებას, რაც დაკავშირებულია მატერიალურ ხარჯებთან და მძიმე ეკონომიურ ტვირთს წარმოადგენს ოჯახებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების - კოხლევარული იმპლანტით მოსარგებლე 0-18 წლამდე არასრულწლოვანი პირების დახმარებას, აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით. კერძოდ:</p> <p>ა) კვების წყაროსთვის საჭირო ელემენტის შეძენას;</p>		

	ბ) პროცესორის და მიკროფონის შემაერთებელი სადენის შექმნას. კვების წყაროსთვის საჭირო ელემენტის შესაძენი თანხის წლიური ლიმიტი განსაზღვრული იყო 700 (შვიდასი) ლარით; პროცესორის და მიკროფონის შემაერთებელი სადენის შესაძენი თანხის წლიური ლიმიტი განსაზღვრული იყო 300 (სამასი) ლარით. აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლა 1-მა ბენეფიციარმა.
მიღწეული შედეგი	სმენადაქვეითებულ ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრირება სხვების თანაწილად და ოჯახების მატერიალური და მორალური თანადგომა.

### სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დაუძლურებული და ლოჯინს მიჯაჭვული ბენეფიციარებისათვის სოციალური და სამედიცინო სერვისების მიწოდებას ადგილზე და სხვა სოციალურ პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური დაცვა	დაფინანსება ათას ლარში
	06 04		870.9
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური; ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქის - ფოთის ბავშვთა ცენტრი"; ა(ა)იპ „კოალიცია სოციალური რეფორმებისათვის“; შპს „ფოთი ქალაქტრანსპორტი“.		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებდა ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა და დიალიზის პროგრამაში მონაწილეთა ტრანსპორტირებას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ახალშობილთა ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.		
